



საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება: კრიტიკურობები და შეფასების მეთოდები

სალომე ოდიშარია
სტუდენტორანტი

რეზიუმე

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება (სეუ) – ესაა დაცულობა მისი საწარმო-ფინანსური მოღვაწეობისა ამ სფეროში არსებული არასასურველი ცვლილებებისაგან. მან უნდა შეასრულოს რიგი ფუნქციებისა, რომელთა შორისაც ძირითადებს უნდა მივაკუთვნოთ: პროგნოზირება, ფინანსური რისკის შეფასება, საფრთხის გამოვლენა, ბაზარზე კონკრეტული უპირატესობების შენარჩუნება, ეკონომიკური შედეგების არასასურველი ფაქტორების აღკვეთა და სხვა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს ერთიანი შეხედულობა (აზრი) საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების კატეგორიის განსაზღვრასთან დაკავშირებით [1]. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე. ერთ-ერთი ნაშრომის [2] მიხედვით „საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება – ესაა მდგომარეობა კორპორაციული რესურსების რაც შეიძლება ეფექტური გამოყენება საფრთხის თავიდან ასაცილებლად და საწარმოს სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა მიმდინარე მომენტში და მომავალში“.

ეს განმარტება რამდენადმე გაფართოებულადაა წარმოდგენილი სხვა ნაშრომში [3]: „საწარმოს (ფირმის) ეკონომიკური უსაფრთხოება – ეს მოცემული სამეურნეო სუბიექტის ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც საწარმოს სტრუქტურისა და მოღვაწეობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტები ხასიათდებიან მაღალი დონის დაცულობით არასასურველი ცვლილებებისაგან“.

წარმოდგენილი განმარტებები შევსებულია და გაფართოებულია ნაშრომში [4]: „საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება – ეს ისეთი მდგომარეობაა სამეწარმეო სუბიექტისა, რომლის დროსაც ის კორპორატიული რესურსების უფრო ეფექტური გამოყენებით აღწევს თავიდან აცილებას ან დაცვას არსებული საფრთხეებისაგან ან სხვა გაუთვალისწინებელი მდგომარეობებისაგან და ძირითადად ბიზნესის მიზნების მიღწევას კონკურენციის და სამეურნეო რისკების პირობებში“.

რამდენადმე განსხვავებული შეხედულება სეუ–სთან დაკავშირებით მოცემულია ნაშრომში [5]: „საწარმოს (სამეწარმეო სუბიექტის) ეკონომიკური უსაფრთხოების ქვეშ უნდა გვესმოდეს დაცულობა მისი სამეცნიერო–ტექნიკური, ტექნოლოგიური, საწარმოო და საკადრო პოტენციალისა პირდაპირი (აქტიური) ან ირიბი (პასიური) ეკონომიკური საფრთხეებისაგან, მაგალითად, დაკავშირებული სახელმწიფოს არაეფექტური სამეცნიერო–სამრეწველო პოლიტიკასთან ან არახელშემწყობი გარე გარემოს ფორმირებასთან და უნარი მისი აღდგენისა“.

1. ამოცანის ღასმ

მოყვანილ განმარტებებში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ სეუ–ის უზრუნველყოფისას არ ემუქრება საფრთხე ან ის დაცულია როგორც გარეშე, ასევე შიდა საფრთხისაგან, მაგრამ ეკონომიკური უსაფრთხოება მოითხოვს ფართე სექტორის პრობლემების გავლენის გადანყვეტას სხვადასხვა სფეროებში: საინვესტიციოში, ტექნოლოგიურში, საფინანსოში, სოციალურში. სხვანაირად რომ ვთქვათ, თითოეული მდგენელი საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოებისა – ესაა ამოცანებისა და კრიტერიუმების კომპლექსი, რომლებიც საჭიროებენ ორიგინალურ მეთოდოლოგიურ მიდგომებს მათ გადასაწყვეტად. ასეთ პირობებში საწარმო უნდა განიხილებოდეს როგორც რთული იერარქიული სისტემა, რომელიც ინტენსიურად ურთიერთმოქმედებს მუდმივად ცვლად გარე გარემოსთან, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს საწარმოს მართვის ორგანიზაციაზე და მის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ასეთ პირობებში დამუ-

შავება სამრეწველო საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციისა იქნეს დიდ მნიშვნელობას, და პირველ რიგში იმიტომ, რომ მათ მიერ აქტიურად გამოყენებული ეკონომიკური პოტენციალი წარმოადგენს მასტაბილიზირებელ ფაქტორს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და უშიშროებისა. საწარმოს წინაშე წარმოიშობა პრობლემა თავისი სოციალურ-ეკონომიკური სისტემისა და პროგნოზირების შიდა შეფასებისა, მომავალში მისი განვითარებისა საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ნეგატიური ფაქტორების გამოვლენისაგან, რომლებიც ზემოქმედებენ საწარმოს პოტენციალზე, აგება სისტემი უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმებისა და ინდიკატორებისა, დასაბუთება მათი ზღვრული მნიშვნელობებისა, გატარება პროფილაქტიკური ზომებისა ამ მუქარებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. ასეთი მიდგომისას აუცილებელია, პირველ რიგში, მოხდეს კლასიფიკაცია ეკონომიკური უსაფრთხოების როგორც შიდა ასევე გარეშე ფაქტორებისა, რომელთაც გააჩნიათ წარმოშობის განსხვავებული ბუნება და დამუშავებულ იქნას მათი მონიტორინგის სისტემა.


2. შედეგები

გარე გარემო უნდა განვიხილოთ როგორც ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც იმყოფებიან საწარმოს გავლენის სფეროს გარეთ, რომლებიც ხასიათდებიან გაურკვევლობის მაღალი დონით, მათი მდგომარეობისა და განვითარების საყოველთაოდ მიღებული დიაგნოსტიკის პროგნოზის სისტემის არარსებობით. გარე გარემოს ფაქტორების კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა დაიყოს ისინი მთავარ და მეორეხარისხოვნებად, ობიექტურ და სუბიექტურებად, კონტროლირებად და არაკონტროლირებადებად, რეალურად არსებულები და პოტენციალურებად, მართვად და არამართვადებად, შემთხვევითებად და დეტერმინირებულებად. ის საშუალებას იძლევა გამოიყოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორები და მოხდეს აბსტრაგირება ნაკლებად მნიშვნელოვანებისაგან, მოხდეს ანალიზის

ფოკუსირება წარმატების ძირითად ფაქტორებზე [6]. თუ ასეთ ხერხს გამოვიყენებთ საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორების ასაგებად, მაშინ მასში უნდა შევიტანოთ შიდა და გარე გარემოს ფაქტორები. საბაზრო ურთიერთობების პირობებში გარე გარემოს ზემოქმედება ვლინდება როგორც დადებით, ასევე უარყოფით სხვადასხვა ფორმაში. საწარმოს ამოცანას წარმოადგენს კონტროლი გარე გარემოს ზემოქმედებებისა და შემუშავება ზომებისა ამ ზემოქმედებაზე გავლენის მოსახდენად, რაც უზრუნველყოფს გარე გარემოს უარყოფითი გავლენისაგან დაცვას. საწარმოს პრაქტიკულ მოღვაწეობაში საკმაოდ ძნელია განისაზღვროს გარე გარემოს ყველა ფაქტორი, გავლენა საწარმოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და მისგან მომდინარე შესაძლო ზარალის ალბათობისა. ამიტომ მათ შორის უნდა გამოიყოს ის ფაქტორები, რომლებიც შეიძლება გაკონტროლებულ იქნან საწარმოს მარკეტინგული პოლიტიკით, რომელიც მუშაობს ბაზარზე (ნახ.1.).

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორებზე საწარმოს ზემოქმედების კონტროლი განისაზღვრება საწარმოს უნარით მოახდინოს გავლენა ამ ზემოქმედებაზე. საწარმოს დამოუკიდებლად შეუძლია განახორციელოს მომწოდებლების რესურსების, მყიდველების სტიმულირების ფორმების არჩევა, მოახდინოს სეგმენტებისა და მიზნობრივი ბაზრის ფორმირება ეკონომიკურისაგან დამოკიდებულებით. მაგრამ მას არ შეუძლია გააკონტროლოს გადანყვეტილებები, რომლებსაც ღებულობს სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის სფეროში, ფინანსური მხარდაჭერა საწარმოების, მრეწველობის ცალკეულ დარგებში, ეროვნული ვალუტის კურსის განსაზღვრა. გარე გარემოს კონტროლირებადი ფაქტორების გავლენის შეფასების სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ისინი, როგორც წესი, არ ექვემდებარებიან ფორმალიზაციას.

შიდა გარემოს ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორები მიზანშეწონილია დაიყოს სამ ჯგუფად: საწარმოო, საფინანსო და სოციალური. წარმოების ფაქტორები განსაზღვრავენ წარმოების დინამიკას დროის მოცემულ პერიოდში, საწარმოო




ნახ.1. გარე გარემოს ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საწარმოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე

სიმძლავრეების ათვისების დონეს, სანარმოო ფონდების ათვისების ტემპებს, ტექნოლოგიების პროგრესულობას, წარმოების რიტმულობას, ტექნიკურ რესურსს, ინოვაციებში აუცილებელი ინვესტიციების საჭირო მოცულობას. სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ფინანსური მდგენელი ხასიათდება თანამშრომლების შრომის ნაყოფიერებით, ფონდის გაცემით, წარმოების რენტაბელობით, ხარჯებით, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებებით, ინოვაციური აქტიურობით, საბრუნავი საშუალებების დაფინანსებისა და საკუთარი წილის უზრუნველყოფით მატერიალური და ენერგეტიკული რესურსებით პროდუქციის წარმოებისათვის.

სოციალური ფაქტორები განისაზღვრება ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის სტანდარტებით, რომელშიც შედიან შრომის ანაზღაურების დონე და სისტემები, შრომისა და დასვენების რეჟიმი, შრომის მოტივაცია, პერსონალის სტრუქტურა.

გარეშე და შიდა ფაქტორების გავლენის ხარისხი სანარმოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე განისაზღვრება კრიტერიუმების სისტემით და ამ გავლენის შეფასების მაჩვენებლებით. ლონისძიებების გამოსამუშავებლად, რომლებიც იძლევიან გაფრთხილებას სანარმოს სოციალურ-ეკონომიკური საფრთხეების აღმოცენება-გაჩენაზე აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს ინდიკატორები სანარმოს სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მათი ზღვრული მნიშვნელობები. მიზანშეწონილია დაიყოს ყველა ინდიკატორი, რომლებიც აუცილებელია უსაფრთხოების დონის მონიტორინგისათვის, ორ ჯგუფად (ნახ.2.): სახელმწიფოს მიერ რეგლამენტირებულები და ანალიტიკურები (საანგარიშო).

სანარმოს სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება – მრავალასპექტიანი ცნებაა, რომელიც მოიცავს მისი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებს: ტექნოლოგიურს, ფინანსურს, მარკეტინგულს, სოციალურს, ეკონომიკურს. თითოეულ სფეროში შეიძლება დამუშავებულ და დამტკიცებულ იქნას სხვადასხვა სტანდარტები, რომელთა დონეებიც კონტროლდება სპეციალური ორგანოების მიერ. სტანდარტების მოთხოვნები, რომლებსაც



ნახ.2. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები

გააჩნიათ მაკროეკონომიკური მნიშვნელობა, შეიძლება გავ-
რცელდეს ყველა საწარმოზე, მიუხედავად მათი დარგობრივი
კუთვნილებისა და საკუთრების ფორმისა. ასეთ სტანდარტე-
ბს შეიძლება მივაკუთვნოთ: მუშაკის შრომის ანაზღაურების
დონე, რომლის ზღვრული მნიშვნელობა უნდა იყოს არანაკლე-
ბი საარსებო მინიმუმისა, რომელიც დაწესებულია სახელმწი-
ფოს მიერ; პროდუქციის თვითღირებულება, რომლის ზღვრულ
მნიშვნელობას წარმოადგენს საზოგადოებრივად აუცილებე-
ლი დანახარჯები, რომელიც განისაზღვრება მეთოდით, რო-
მელიც გამოიყენება ბენჩმარკეტინგის სისტემაში; მოგების
ნორმა, რომლის ქვედა მნიშვნელობამ უნდა უზრუნველყოს
საგადასახადო სამსახურის მიერ დადგენილი საგადასახადო ვა-

ლდებულებები; არსებობა ბაზრის წილისა (მოთხოვნისა) პროდუქციის მიწოდებაზე; ეკონომიკური სტანდარტების ნორმები და სხვა.

რეგლამენტირებული ინდიკატორები განისაზღვრება ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის მექანიზმებით. ამ დროს სახელმწიფოს საკანონმდებლო პოლიტიკით უზრუნველყოფა მოიცავს საკანონმდებლო აქტების, სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, ზემოქმედების მეთოდებს სხვადასხვა სფეროში, პირველ რიგში, სოციალური ორიენტაციის სფეროში, უსაფრთხოების სტანდარტების გათვალისწინების მიზნით. ბოლო წლების მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ფოკუსირებენ სოციალური პოლიტიკის როლზე როგორც წარმატებული ეკონომიკური განვითარების ფაქტორზე [7]. საწარმოს სოციალური პასუხისმგებლობა განისაზღვრება საერთაშორისო სტანდარტის SA 8000 მოთხოვნებით [8].

ანალიტიკური ინდიკატორები საანგარიშო მაჩვენებლებია. მათი ზღვრული მნიშვნელობები დგინდება საწარმოს სპეციფიკასთან გამოყენების გათვალისწინებით. საწარმოს ზღვრული მდგომარეობიდან გადახრა შეიძლება დახასიათდეს როგორც: ნორმალური, როდესაც ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები იმყოფებიან ზღვრულ მნიშვნელობის ზონაში, ხოლო სტრატეგიული პოტენციალი საწარმოსი შეესაბამება მოცემულ დონეს; წინაკრიზისული, როცა თუნდაც ერთი ინდიკატორი არ შეესაბამება ზღვრულ მნიშვნელობას; კრიზისული, როდესაც ზღვრულ მნიშვნელობას არ შეესაბამება ეკონომიკური უსაფრთხოების რამოდენიმე ძირითადი ინდიკატორი, ხოლო საწარმოს სტრატეგიული პოტენციალი შეუძლებელია გაუმჯობესებულ იქნას. ასეთი კონცეპტუალური მიდგომისას, როდესაც საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება განისაზღვრება რაოდენობრივად ინდიკატორების მნიშვნელობების გაანგარიშების მეშვეობით და საწარმოს სტრატეგიული პოტენციალით, საჭიროა ამ პოტენციალის გაანგარიშების მეთოდიკა. ძირითადი პრიორიტეტი მოცემულ შემთხვევაში უნდა იყოს საწარმოების „ეკონომიკური მდგრადობა“ და „სტრატეგიული განვითარება“.

თუ საწარმო ეკონომიკურად არ ვითარდება, მაშინ იკვეცება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტი მისი ეკონომიური უსაფრთხოებისა – სტრატეგიულ პოტენციალს, რომელიც წარმოადგენს შესაძლებლობების ყველა რესურსების ძალის ინტეგრირების კომპლექსს.

ინტეგრალური მაჩვენებელი საწარმოს ეკონომიური უსაფრთხოებისა შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი გამოსახულებით

$$I_{\text{სა}} = \sum_{i=1}^n g_i \cdot \sum_{j=1}^m \alpha_j \cdot \bar{\sigma}_j \quad (1)$$

სადაც $I_{\text{სა}}$ – არის ინტეგრირებული შეფასება ეკონომიური უსაფრთხოების დონისა;

g_i – არის ინდიკატორი, რომელიც ადასტურებს საწარმოს ეკონომიური უსაფრთხოების სტანდარტების შესრულებას. ის ლეზულობს მნიშვნელობას 1, როცა სტანდარტი დაცულია, 0 – წინააღმდეგ შემთხვევაში;

n – მარეგულირებელი სტანდარტების ინდიკატორების რაოდენობა;

m – ანალიტიკური ინდიკატორების რაოდენობა;

α_j – j -ური ინდიკატორის რანგის დონე;

$\bar{\sigma}_j$ – საშუალო ბალური შეფასება j -ური ინდიკატორისა, გამოსახულს ბალებში.

იმ ინდიკატორების მნიშვნელობების დასადგენად, რომლებიც შევიდნენ ეკონომიური უსაფრთხოების ინტეგრირებულ შეფასებაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მეთოდები: კორელაციური და რეგრესიული ანალიზი, მთავარი კომპონენტების მეთოდი, პრიორიტეტების დალაგების მეთოდი, მომიჯნავეობის მატრიცა და სხვა. ინდიკატორის რაოდენობრივი შეფასებისათვის მისი ზღვრული ან ნორმატიული მნიშვნელობებთან მიმართებაში შეიძლება გამოყენებულ იქნას მეთოდი იდეალური წერტილისა ან რ. ლეიკერტის სკალა. იდეალური წერტილის მეთოდი გამოყენებადია იმ შემთხვევაში, როდესაც მკაფიოდაა განსაზღვრული ინდიკატორების ზღვრული მნიშვნელობები. ამ შემთხვევაში ინდიკატორის საშუალო მნიშვნელობა

ვნელობა შეიძლება გამოთვლი იქნას ფორმულით:

$$\bar{o}_i = \sum_{i=1}^N d_i \cdot |o_i^{\text{ფ}} - o_i^{\text{ფ}}| \quad (2)$$


სადაც d_i – არის მნიშვნელობა i -ური კერძო მაჩვენებლისა, რომელიც შედის მნიშვნელოვანი ინდიკატორის შემადგენლობაში;

$o_i^{\text{ფ}}$ და $o_i^{\text{ფ}}$ – ფაქტორი და ოპტიმალური (ნორმატიული) შეფასება მაჩვენებლისა, რომელიც შედის მნიშვნელოვანი ინდიკატორის შემადგენლობაში და ფასდება ბალებში. ბალური შეფასებები მოიცემა ექსპერტების მიერ, რომელთა მოქმედებების შეთანხმებულობა და კომპეტენტურობა განისაზღვრება კონკორდაციის კოეფიციენტით და მონმდება კრიტერიუმით „ხიკვადრატი“. ხარისხობრივი ინდიკატორების შესაფასებლად, რომლებსაც არ გააჩნიათ პირდაპირი ერთიანი საზომი, შეიძლება გამოყენებულ იქნას რ. ლეიკერტის სკალა, დაფუძნებული ექსპერტების შეთანხმებულობის ხარისხზე გარკვეული მტკიცებულებით.

სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ინტეგრირებული შეფასების გაანგარიშების მეთოდით მიდგომისას (მოცემულია ნახ.3.-ზე) სირთულეს იწვევს ობიექტური ინფორმაციის მიღება და გაანგარიშება სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორებისა. ეს უკანასკნელები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული სანარმოს დარგობრივ თავისებურებებზე და ამიტომ საჭიროებენ შემდგომ გამოკვლევებს.

3. დასკვნა

სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების განსაზღვრის შემოთავაზებული მეთოდური მიდგომა წარმოადგენს ამ მაჩვენებლის განსაზღვრის ახალ კონცეპტუალურ მიდგომას, რაც აფართოებს გამოყენების სფეროს და ამალღებს შეფასების ობიექტურობას.



ნახ.3. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ალგორითმი

გამოყენებული ლიტერატურა

1. Г.В. Козаченко, В.П. Поноярев, О.М. Ляшенко. Экономическая безопасность предприятия: сущность и механизм обеспечения: .– К: Лібра, 2003. – 280с;
2. Основы экономической безопасности (государство, регион, предприятие, личность) / Под. Ред. Е.А. Олейникова. – М.: ЗАО „Бизнес-школа“м „Интел-Синтез“, 1997. – 288с.;
3. Стратегия бизнеса: Справочник / Под. Ред. Г.Б. Клейнера. – М.: КОНСЕКО, 1998.;
4. Грунин О., Грунин С. экономическая безопасность организации. – СПб: Питер. 2002. – 160с.;
5. Бендигов М. Экономическая безопасность промышленного предприятия (организационно-методический аспект) // Консультант директора. – 2000. -№2(110). – С. 7-13;
6. Губанов С. Темпы роста и воздействия на них государства // Вопросы экономики. – 2003. - №3. – С. 14-32;
7. И. Соболева Социальная политика как фактор устойчивого развития // Проблемы теории и практики управления. – 2003. -№3. – С. 67-73;
8. Фиглин Л. Модель управления качеством социальной ответственности организации // Проблемы теории и практики управления. – 2003. -№2. – С. 86-91

REFERENCES:

1. G. C. Kozachenko, V.P. Ponoyarev, OM Lyashenko. Economic security of the enterprise: dryness and the mechanism of support: – K: Libra, 2003. - 280s;
2. Fundamentals of economic security (state, region, enterprise, person) / Under. Ed. E.A. Oleynikov. - M. : JSC “Business School” m “Intel-Sintez”, 1997. - 288s;
3. Business strategy: a Handbook / Under. Ed. Gb Kleiner. - M. : CONSECO, 1998. ;
4. Grunin O., Grunin S. economic security of the organization. - SPB: Peter. 2002. - 160s;

5. Bendikov M. Economic security of industrial enterprise (organizational and methodical aspect) // Director consultant. - 2000. -№ 2 (110). - pp. 7-13;

6. Gubanov S. The growth rate and the impact on them of the state // Questions of economy. - 2003. - №3. - pp. 14-32;

7. I. Sobolev. Social policy as a factor of sustainable development // Problems of the theory and practice of management. - 2003. -№3. - pp. 67-73;

8. Figlin L. Model of quality management of social responsibility of an organization // Problems of the theory and practice of management. - 2003. -№ 2. - p. 86-91

ECONOMIC SECURITY OF THE ENTERPRISE: CRITERIA AND ASSESSMENT METHODS

Salome Odisharia,

Doctoral Student of
Georgian Technical University

RESUME

The economic security of the enterprise (ESE) is the safeguard of its entrepreneurial-financial activity from unwanted changes in this field. It has to perform a number of functions, including the basic ones: prediction, financial risk assessment, risk detection, preservation of specific advantages in the market, preventing from undesirable factors of economic consequences.

In economic literature there is no uniform view (opinion) regarding the definition of an enterprise economic security category [1]. Just look at some of them. One of the papers [2] suggests “the economic security of the enterprise - this is the best way to use corporate resources to avoid danger and to ensure stable functioning of the enterprise in the present moment and in the future”.

This explanation is somewhat enlarged in another work [3]:

“The economic security of the enterprise (the firm) - this is the condition of the economic subject in which vital components of enterprise structure and activity are characterized by the high level of protection from undesirable changes”.

There is a somewhat different view on ESE in the paper: “Under the economic security of the enterprise (entrepreneurial entity), we must understand the safety, technical, technological, industrial and personnel potential from direct (active) or indirect (passive) economic threats.

Key words: Economic security of the enterprise; enterprise; direct (active) or indirect (passive) economic threats; danger; stable functioning.